ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13223012**
თარიღი:**28/10/2022**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე'' ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამავე კანონის 108-ე მუხლის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, გადასცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის გადაცემის მიზნით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება:

ა) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ სვირში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ობიექტი N1, საკადასტრო კოდით N62.02.52.149;

ბ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ აგარაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდით N62.05.56.012;

გ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ მუსხში, სამედიცინო პუნქტის შენობაში არსებული ერთი ოთახი, ფართით 19,50 კვ.მ., საკადასტრო კოდით N62.11.53.007.01.501.

საფუძველი -სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს'' 2022 წლის 21 სექტემბრის N5/52683 და 2022 წლის 22 სექტემბრის N5/53158 მომართვები.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი